პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 12 აგვისტო, 1944 წ. № 163 (7106). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერების ახალი ზრდა. „პრავდის“ 10 აგვისტოს მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 11 აგვისტოს ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

მ. გულკინი, კ. პუხოვი. კაუნასის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით (1-ლი გვერდი).

ცოცხალი მოწმენი გვიამბობენ... (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. ა. სოზაძე. ორი კოლმეურნეობა ერთ მეთაურობაში. პარტიული ორგანიზაციები (მე-2 გვერდი).

ჩვენ გვწერენ (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები: მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა. საომარი მოქმედება იტალიაში. იტალიის კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ერთობლივი კომუნიკე. ამერიკის ნვიაციის თავდასხმა შანხაიზე. თავდასხმა ბერლინზე.

ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერების ახალი ზრდა

უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებებს, რომელებითაც ჯარებს ეკიცადებათ მადლობა ფრონტზე შესანიშნავი საბრძოლო მოქმედებისათვის, ჩვენში თან მოსდევს თაყვანცემა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის მილოცვანი მშენებლებისადმი, რომლებიც ზურგში აგებენ ახალ ქარხნებს ან აღადგენენ მტრის მიერ დანგრეულ საწარმოებს. წითელი არმიის უმაგალითო შეტევას, რომელიც ძალთა უდიდეს დაძაბვას მოითხოვს, თან ახლავს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიური ძლიერების ზრდა, სამხედრო ეკონომიკის ზრდა, გერმანელ ფაშისტ დაპპყრობთაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღორძინება. მხოლოდ ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლია ასეთი ორმაგი დაძაბვის ატანა.

ომის მსვლელობაში საბჭოთა ეკონომიკა სძლევდა ახალ, ზოგჯერ ციცაბო აღმართებს, და ომიანობის დროის ვერავითარმა დაბრკოლებამ და სიძნელემ ვერ გაუძლო ჩვენი სახელმწიფოსა და ხალხის ორგანიზებულებას. და საბჭოთა კავშირის მზარდი ძალების საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს ომის დროს ახალი ბრძმედების, შახტების, ელექტროადგურების, რკინიგზების, ქარხნებისა და ფაბრიკების წარმატებით მშენებლობა.

1942 წლის ბოლოს, სტალინგრადთან ჰიტლერული არმიების განადგურების შემდეგ, საბჭოთა ქვეყნიდან გერმანელების ეაოაბრივად განდევნასთან ერთად, საბჭოთა კავშირის ცენტრსა და აღმოსავლეთში საწარმოთა ახალ მშენებლობას დაემატა მრეწველობის სწრაფი აღდგენა განთავისუფლებულ მიწა-წყალზე. ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილი პატაკებიდან ხალხი და არმია ყოველთვის გებულობენ მწყობრში ახალ და აღდგენილ საწარმოთა ჩადგომას.

„პრავდაში“ გუშინ გამოქვეყნებული იყო მეტალურგებისა და მშენებლების სამი პატაკი. დონბასში, კონსტანტინოვკის ქარხანაში, გათავისუფლებულ ვადაზე 4 თვით ადრე ამუშავდა ბრძმედი № 1. მაგნიტოგორსკში ამუშავებულია ახალი მე-7 საკოქსო ბატარია. დონბასში, მაკეევკაში, წარმატებით არის აღდგენილი და ამუშავებული პირველი საკოქსო ბატარია. საბჭოთა შავმა მეტალურგიამ მიიღო ახალი მნიშვნელოვანი დამზმარე ძალა, და ჩვენი ქვეყანა მალე დამატებით მიიღებს ათასობით ტონა ლითონს!

ომის დროს მშენებლობა ყველაზე უფრო დიდი მასშტაბით სწარმოებდა სწორედ შავ მეტალურგიაში. ომის წარმატებით საწარმოებლად საჭირო იყო განსაკუთრებით ბევრი ლითონი. ამავე დროს შავ მეტალურგიას სერიოზული ზარალი მოუვიდა ოკუპაციის შეკრასთან დაკავშირებით. სახელმწიფომ უდიდესი ფულადი სახსრები და ადამიანთა დიდი არმია გაგზავნა აღმოსავლეთში ძველი მეტალურგიული ქარხნების გასაფართოებლად და ახლების ასაგებად. ომის დროს ამუშავებულ იქნა ორი ბრძმედი მაგნიტოგორსკში, ერთი ბრძმედი ჩუსოვაია-ში, ერთი ბრძმედი ტაგილში, ახალი მეტალურგიული ქარხნები ჩებარკულში, ჩელიაბინსკში, უზბეკეთში. ბრძმედები, მარტენები და საგლინავი დაზგები, რომლებიც ომის დროს აიგო, ამუშავებენ აღმოსავლეთში, ხოლო ახლა მათ ემატება საბჭოთა უკრაინის შავი მეტალურგიის ქარხნები, რომლების აღდგენაც სწარმოებს!

კონსტანტინოვკაში ამას წინათ ამუშავებული ბრძმედი ოკეანე მეშვიდე ლმეელი, რომელიც აღადგინეს სამხრეთის მეტალურგიულ ქარხნებში. სამი ბრძმედი თოჯს ადნობს ენაკიეევში, ორი—სტალინოში, ერთი—მაკეევკაში. მზადდება ამამუშავებელად ორი ბრძმედი დნეპროძერჟინსკის ქარხანაში და ერთი ბრძმედი დნეპროპეტროვსკის ქარხანაში. ამრიგად, დონბასის შემდეგ ცოცხლდება მეტალურგიული დნეპრისპირეთი. რაც უნდა ძნელი იყოს აღდგენის წარმოება, საბჭოთა ადამიანები ზედიზედ აღწევენ წარმატებას.

ნოვაია მაკეევკის კოქსქიმიურ ქარხანაში ამუშავებულია პირველი ბატარია. მაგრამ სამხრეთში ეს უკვე 48-ე ბატარიაა, რომელიც მწყობრში ჩადგა ერთ წელიწადზე ნაკლები დროის განმავლობაში დონბასის განთავისუფლების დღიდან. უახლოეს დროში გათავისწორებულია კიდევ 14 საკოქსო ბატარია ამუშავება სამხრეთში. იქმნება მტკიცე ბაზა აღდგენილი და აღდგენის პროცესში მყოფი ბრძმედების კოქსით კვებისათვის. იქმნება მტკიცე საფუძველი თუჯისა და ფოლადის დნობის გადიდებისათვის.

სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის ქარხანაში ამას წინათ ამუშავებული მე-7 საკოქსო ბატარია მესამე ბატარიაა, რომელიც აგებულია იქ ომის დროს. იგი აგებულ იქნა ნაკადურ-სწრაფი ეთოდით სარეკორდო ვადაში—ერთნახევარჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ბატარია № 6, ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ბატარია № 5, და სამჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ბატარია № 4, რომელიც მშვიდობიანობის დროს იქნა აგებული. საბჭოთა მშენებლებმა ისწავლეს ომის დროს ახალი საწარმოების აგება უმაგალითოდ მოკლე ვადებში, რითაც ფრონტს ფასდაუდებელი საკმსახური გაუწიეს.

მიმდინარე წელს ახალი მშენებლობისა და დანგრეულ საწარმოთა აღდგენის მასშტაბები გაცილებით აღემატება გასული წლების მუშაობას. მიმდინარე წელს მშენებლობის მოცულობა შავ მეტალურგიაში სარეკორდოა. ენერგეტიკულ მრეწველობაში საწარმოთა ამუშავების 1944 წლის პროგრამა თითქმის უდრის იმ სიმძლავრეებს, რაც ამუშავებულ იქნა მთელი პირველი ხუთწლედის განმავლობაში. განსაკუთრებით დიდია სამშენებლო და აღდგენითი სამუშაოთა მასშტაბი ქვანახშირის მრეწველობაში. მიმდინარე წელი წარმოადგენს არა მარტო გადამწყვეტი ბრძოლების წელს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან საბჭოთა მიწა-წყლის სრული განთავისუფლებისათვის, პიტლერული გერმანიის სრული განადგურებისათვის, არამედ საბჭოთა სახელმწიფოში უდიდეს სამშენებლო სამუშაოთა წელსაც. ჩვენი ქვეყანა იმედით შეჰყურებს თავის გმირ წითელ არმიას, რომელიც ანადგურებს მტერს ფრონტზე, იმედით შეჰყურებს მშენებელთა სახელოვან არმიას ზურგში, რომელიც დაუღალავად ერდის საბჭოთა სახელმწიფოს საწარმოო ძალიერებას.

ყველა განთავისუფლებულ რაიონში სახალხო მეურნეობის აღდგენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შავი მეტალურგიისა და ენერგეტიკის აღდგენის ტემპებზე. ამჟამად უაღრესად დიდია ჩვენი მოთხოვნილება ლითონზე და ელექტროენერგიაზე. ლითონი ომობს, მაგრამ ამავე დროს ლითონივე აშენებს. იმისათვის, რომ დონბასის, კრივორეგის, ჩვენი ქვეყნის დასავლეთისა და სამხრეთის ყველა სამრეწველო რაიონის შავი მეტალურგია და ენერგეტიკა წრაფი ტემპებით ვითარდებოდნენ, აუცილებელია ყოველნაირად დავიჩაროთ ქვანახშირის შახტების აღდგენა და სათბობის ამოღება. საკოქსო ბატარიების რიცხვი იზრდება და კვლავაც ვიზრდება, მათი კვებისათვის კი აუცილებელია კოქსვადი ქვანახშირი. ელექტროსადგურებს, რკინიგზებს ასევე ესაჭიროებათ ქვანახშირი. ჩვენი ქვეყნის თვალი მიპყრობილია დონბასისაკენ.

ომის დროს ჩვენმა მშენებლებმა დიდი, ძვირფასი გამოცდილება დააგროვეს. ახალ ტექნიკურ პრობლემებს შეხვდნენ ახალ ისარი დანგრეული მრეწველობის აღდგენის პროცესში. მეტალურგიული საამქროების აღდგენა დონბასში გვიჩვენებს, რომ ჩვენს მშენებლებს შეუძლიათ ამ ახალი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა. აძლიერებენ მათ უფრო ენერგიულად უნდა შეიქმნან ძლავრი სამშენებლო ორგანიზაციები, შეიქმნან საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ბაზა, არ დაშალონ თავიანთი ძალები, არამედ თავი მოუყარონ მათ ყველა გადამწყვეტ ადგილზე, საამქროში, რომელთაც უნდა შეესწავთ უაღრესად მოკლე ვადაში ძისცენ ჩვენს ქვეყანას ზზა პროდუქცია. მოწინავე მშენებლობებს შექმნილი ტექნიკური ნოვატორობა მაშინვე უნდა გავრცელდეს ყველა დანარჩენ მშენებლობაზე. ინერგიულად უნდა განვითარდეს აღდგილზე საამშენებლო მასალის წარმოება. ადგილზედგენილ უნდა ვზარდოთ მშენებელ მუშაკთა კადრები, აღვზარდოთ ჩათნი სიამაყე თავიანთი საპატიო საამშენებლო პროფესიით.

დღითა-დღე იზრდება საბჭოთა ეკონომიური შესაძლებლობანი. ეს შესაძლებლობანი ფართოვდებიან დანგრეული საწარმოების აღდგენის მეოხებით. განთავისუფლებული რაიონების მშრომელებს თავიანთი წელი შეაქვთ მტრის ვანადგურების საქმეში.

„განთავისუფლებული რაიონების მშრომელები დღითა-დღე აფართოვებენ დახმარებას წითელი არმიისადმი — თავიანთი გამთავისუფლებლისადმი, ფრონტზე მიპყრილი ტვირთის საერთო ნაკადს უმატებენ აღდგენის პროცესში მყოფი ქარხნებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი თავისი გმირული შრომით და მთელი თავისი ძალ-ღონის დაძაბვით კვლავაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა გაფართოებას ომის დროს.

ასე ამბობს დიდი სტალინი. და ეს ასეც იქნება!

„პრავდის“ 10 აგვისტოს მოწინავე.

სსრ კავშირის, ა. შ. შეერთებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა შორის მომავალი მოლაპარაკებისათვის ვაშინგტონში უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, აგვისტოს დამდეგს ვაშინგტონში უნდა მომხდარიყო წინასწარი არაოფიციალური მოლაპარაკება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა შორის შშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების ძირითად საკითხებზე. ამჟამად მიღწეული შეთანხმებით აღნიშნული მოლაპარაკება დაიწყება ვაშინგტონში 21 აგვისტოს.

ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ა. ა. გრომიკო (საბჭოთა ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, დელეგაციის თავმჯდომარე), ა. ა. სობოლევი, ს. კ. ცარაპკინი, კონტრ-ადმირალი კ. კ. როდიონოვი, გენერალ-მაიორი ნ. ვ. სლავინი, პროფესორი ს. ა. გოლუნსკი, პროფესორი ს. ბ. კრილოვი, გ. გ. დოლბინი, დელეგაციის მდივანი მ. მ. იუნინი, მდივანი-თარჯიმანი ვ. მ. ბერეშკოვი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი.

ქალთა IV ანტიფაშისტური მიტინგი

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტი 20 აგვისტოს იწვევს მეოთხე ანტიფაშისტურ მიტინგს, მიტინგში მონაწილეობას მიიღებენ შრომისა და ფრონტის გმირი ქალები, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკების პარტიზანი ქალები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლები და სხვ. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

ქალაქ ფსკოვის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა განაახლეს შეტევა, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა, წინ წაიწიეს 25-მდე კილომეტრით და გარღვევა გაიფართოეს 70-მდე კილომეტრი ფრონტით. შეტევითი ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ესტონეთის სსრ სამაზრო ცენტრი ქალაქი პეტსერი (პეჩერი), ავრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ლიტოვიჩი, ივანოვო ბოლოტო, რაგუზინა, ვიმოსკი, კიულატოვა, ოგბინიტსა, ვასლამაია, ლინცი, კუძლინა, მეძხი, ვიტკა, ტიილიკე, ლეიმანი, სტუკოლოვა და რკინიგზის სადგურები ლიიკამაია, პეტსერი.

ქალაქ კრუსტპილსის (ხაპადნაია დვინაზე) დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის როჟი, რაცენი, ვარენგბროკასი, ბლინტი, გრავენდერი, ვარტუნი და რკინიგზის სადგურები სუნაქსტე, სვილი.

ქალაქ ბელოსტოკის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები იაბლოვო, ზაბელე, ბუკოზოვო, მიკიცინი, ვროცენი, ფლიასტა, ლუპინი, დუდკი, ბოგუშოვო, ტიკოცინი, ლიპნიკი, ცეშიმი, ჩაიკი და რკინიგზის სადგური კნიშინი.

ქალაქ სედლეცის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კოსაკი, ლომნა, ტელიანკი, ბეიმალი, ჯიმალი, ვროტენუში, მოძნა, ხხუშევა, სტარავესი, კორიტნიცა, კნევნიკი, დოგრე, რაკოვეცი, რუძენკო და რკინიგზის სადგური კოსუშ-რუსკი.

ქალაქ სანდომირის დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

10 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 50 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 29 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ფსკოვის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა განაახლეს შეტევა. დილით, ძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ, საბჭოთა ქვეითი ჯარი იერიშზე გადავიდა. სიმაგრეებში ჩამსხდარი გერმანელები შეუპოვარ წინააღმდეგობას გაწევდნენ. ჩვენი მებრძოლები შეეჭრნენ პოწინააღმდეგის განლაგებაში და განდევნეს იგი ძელმწერი საცეცხლე წერტილებიდან და სანგრებიდან. საბჭოთა ჯარებმა დარტყმები გაა-ძლიერეს, გაარღვიეს მტრის თავდაცვა და წინ წაიწიეს 25-მდე კილომეტრით. 5 შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც სდევნიდნენ გერმანელთა 30-ე ქვეითი დივიზიის გაანადგურებულ ნაწილებს, დაიკავეს გერმანელთა დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი — ქალაქი პეტსერი (პეჩერი). კარსრული ცნობებით, მოსპობილია 1.500-მდე ჰიტლერელი, 16 ქვემეხი, 15 ნაღმსატყორცნი და 30 ტყვიამფრქვევი. ხელთ ვიგდეთ 8 ტანკი, 59 ქვემეხი, 14 ნაღმსატყორცნი, 42 ტყვიამფრქვევი, 4 რადიოსადგური და რამდენიმე დიდი საწყობი საჭიდრო ქონებიანად. ტყვეებ წამოყვანილია 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქალაქ კრუსტპილსის დასავლეთით 5 შენაერთის ნაწილებმა შეტევა განაგრძარეს და გერმანელები განდევნეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 600-მდე ვვამი. საბჭოთა ქვეითმა ჯარმა გასტეხა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, გადალახა ჭრაკალრიფადნავანა სანიერნრო და ნაღმიანი დაბრკოლებანი, წინ წაიწია 10 კილომეტრით და გადალახა მდინარე ვიესიტე მთელს მის სიგრძეზე. მოწინააღმდეგის ცდები — შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების შეტევა — ჩაფუშულ იქნა ჩვენი ჯარების გადამწყვეტი მოქმედებით. ერთ უბანზე გერმანელთა ორი ბატალიონი კონტრიერიშზე გადმოვიდა. ღამის ბრძოლაში გერმანელთა ორივე ბატალიონი განადგურებულ იქნა. ცოცხლად დაჭერილი ჰიტლერელები ტყვეებში გაიფანტნენ.

* * *

ქალაქ ბელოსტოკის ჩრდილო-დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილებმა გაადგილებული ბრძოლების შემდეგ ბოელ რიგ ადგილებში გადალახეს მდინარე ბეოზუეკა. ამ მდინარის დასავლეთ ნაპირზე მოწინააღმდეგემ ააგო გაუმჯობესებული თავდაცვითი პოზიციები. საბჭოთა ქვეითმა ჯარმა არტილერიის დახმარებით გაარღვია გერმანელთა თავდაცვა და წინ წაიწია 15 კილომეტრით. სხვა უბანზე გერმანელები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. საბჭოთა არტილერიისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა მტერს თავს დაატეხეს ცეცხლის ქარიშხალი. მოწინააღმდეგემ უწესრიგოდ დაიხია უკან ბრძოლის ველზე დასტოვა თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 700 გვამი, 8 დაზიანებული ქვემეხი და 12 ნაღმსატყორცნი.

საბჭოთა ბომბდამშენები და მოიერიშეები წარმატებით დაესხნენ თავს რკინიგზის სადგურებს ლიცა და პრიშტკენს (აღმოსავლეთი პრუსია). სადგურ ლიცზე დამწვარია რკინიგზის ეშელონი და ბენზინსაცავი, სადგურ პრიშტკენის ტერიტორიაზე ხანძრის ხუთი დიდი კერა გაჩნდა. მოხდა დიდი აფეთქებანი.

* * *

ქალაქ სედლეცის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაკრძობდნენ შეტევას. გაფთრებული ბრძოლები მოხდა დასახლებული პუნქტების მოდეკუ, ვროტნუვისა და კოსუე-რუსკის რაიონში. საბჭოთა მებრძოლებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ვერმანელთა წინააღმდეგობის ეს კვანძები. ხელთ ვიგდეთ დიდი საწყობი საომარ მასალიანად. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა დილაადრიან უეცრად დაარტყეს მტერს და ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. ამ ბრძოლებში სს დივიზიების „ვიკინგის“ და „მეკვდარი თავის“ ქვეგანაყოფებს მძიმე ზარალი მოუვადათ. საბჭოთა მებრძოლებმა დააზიანეს 3 ტანკი, 2 თვითმავალი და 14 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ სანდომირის დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ პლაცდარმის გასაფართოებლად ისლის მარცხენა ნაპირზე. ერთ უბანზე მოწინააღმდეგის 50 ტანკი და ქვეითი ჯარი კონტრიერიშზე ვადმოვიდნენ. საბჭოთა არტილერისტებმა და ჯავშანტრანსპორტიორი. მოწინააღმდეგე იძულებული გახდა უკან დაეხია. სხვა უბანზე 6 შენაერთის საწილებმა დღის განმავლობაში მტრის 7 კონტრიერიში მოიგერიეს.

* * *

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანელთა არმიების ცენტრალო ჯგუფის სარდლის გენერალ-ფელდმარშალ მოდელის 1944 წლის 31 ივლისის ბრძანება. ბრძანებაში ნათქვამია: „ჯარისკაცებო! მოწინააღმდეგე აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებთან დგას... საკირო, რომ თვითეული გაიმეტკვალოს ბრძოლის მოთხოვნით. ტანკის შიში, გარშემორტყმის შიში, გადუწყვეტელი უკანდახევა ოა ამის მსგავსი რამეები წარმოადგენენ სულიერად სუსტების ცნებებს, და სიმხდალის გამოვლენებას, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს გერმანელი ჯარისკაცის გულში. გავიხსენოთ ჩვენ ძველი უპირატესობა... მხდალებს ადგილი არა აქვთ ჩვენს რიგებში, ვინც ყოყმანობს, იგი დაღუპულია...“

ეს ბრძანება მკვეთრად გამსხვავდება ომის პირველი პერიოდის გერმანელ გენერალთა ბრძანებებისაგან. ნამდვილად რომ ვთქვათ, გენერალ-ფელდმარშალი მოდელი არც კი უბრძანებს, არამედ მოსთქვამს შემზარავი, ისტერიული ხმით. იგი ხან ეშუდარება თავის ჯარისკაცებს, ხან აშინებს. მოდელი მოუწოდებს მათ ახალი ძალები შეიძინონ წინანდელ ლაშქრობათა მოგონებებით. სხვამ თუ არა, გენერალმა მოდელმა კარვად იცის, რომ გერმანელების წინანდელ ლაშქრობათა მოგონებების დიდი უმეტესობა უკვე დიდი ხანია დახოცილი, და მოსპობილია საბჭოთა მიწა-წყალზე. არა გვგონია, რომ გადარჩენილნი გაიტაცოს პოლონეთისა და საფრანგეთის დაპყრობის დღეებზე ტკბილმა მოგონებებმა. ეს მოგონებანი დაიჩრდილნენ, გახუნდნენ. ისინი გაკაჭარწყლეს და დაჩრდილეს შაბნელმა მოკონებებმა გერმანელთა განადგურებაზე მოსკოვთან, სტალინგრადთან მოიხდარ კატასტროფაზე, უკრაინიდან განდევნაზე, ცენტრალური ფრონტის დანგრევაზე, დიდ და მცირე „ქვაბებზე“ და „ტომრებზე“, რომლებშიც გერმანელთა ჯარები ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ყოველივე ეს ჯერ კიდევ მეტად ცოცხალია გერმანელი ჯარისკაცის ხსოვნაში. ამიტომ შეიძლება ეჭვი არ შეგვიეიდეს იმაში, რომ ტანკის შიში, გარშემორტყმის შიში ამჟამად გერმანელთა ორგანულ ავადმყოფობას წარმოადგენს, ხოლო მოყოყმანე ჯარისკაცთა და ოფიცერთა რაოდენობა გერმანიის არმიაში დღითა-დღე გადიდდება, მიუხედავად ფელდმარშალ მოდელის მუდარისა და ბრძანებებისა.

კონგრ-ადმირალ ს. ს. რამიშვილის დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის, კადრების მომზადებისა და განაწილების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილების ჩამოყალიბების დარგში თავანსაჩინო წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა, ზემდეგთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის დიდი ჯგუფი. მათ შორის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია კონტრ-ადმირალი სიმონ პეირიდონის-ძე რამიშვილი.

უკანასკნელი ცნობები

ჩერჩილი იტალიაში ჩავიდა

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი იტალიაში ჩავიდა.

ჰიტლერელები სიკვდილით სჯიან მეამბოხე გენერლების ცოლებსა და შვილებს

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ჰიტლერელებმა სიკვდილთ დასაჯეს გერმანიის არმიის ამ გენერლებისა და ოფიცრების ცოლები და შვილები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებაში.

კაუნასის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით

მოსკოვი არმია, 10 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). იმ რაიონში, სადაც ნემანი ეკვეთრად უხვევს დასავლეთისაკენ, ამ უკანასკნელ დღეებში გაფთრებული ბრძოლებია. გერმანელები ეყრდნობიან ხელსაყრელ პოზიციებს, საჩქაროდ ამაგრებენ მათ, გაფფრებულ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენს ჯარებს და ორიერთგზის გადმოდიან კონტრიერიშებზე. მოწინააღმდეგე განსაკუთრებით შეუპოვრად იცავდა დასაყრდენ პუნქტს, რომელიც ვადამწყვეტი მნიშვნელობის პოზიციის წარმოადგენდა ნემანის ჩრდილოეთ ნაპირზე. ამ პუნქტს ხელსაყრელი მდებარეობა აქვს. ერთი მხრიდან მას ნემანი იფარავს, აღმოსავლეთიდან — მდინარე დუბისის შესართავი, ხოლო ჩრდილოეთიდან — მაღლობები. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც აღმოსავლეთიდან უტევდნენ, გადალახეს დუბისა შესართავს ზემოთ. გერმანელებმა ვაძლიერეს დასაყრდენი პუნქტის მისადგომებზე მდებარე სოფლის გარნიზონი და ამით უზრუნველყვეს ამ დასაყრდენი პუნქტის მარცხენა ფლანგი. შემტევებმა გამოიცნეს მოწინააღმდეგის მანევრი, ფრონტიდან მიიტანეს დემონსტრატიული იერიში და ამავე დროს დაიწყეს უფრო ღრმა შემოვლა. აქ მტერს ყველაზე სუსტი ადგილი აღმოაჩნდა. ჩვენმა ნაწილებმა ზედიზედ შეჭრეს ორი შარაგზა, რომელთაგან ერთი 6 კილომეტრზეა დასაყრდენი პუნქტის ჩრდილო-დასავლეთით. მტრის გარნიზონი დარტყმის საფრთხეში აღმოჩნდა. გერმანელები საფრთხეს მიხვდნენ და მეტად საჩქაროდ შეუდგნენ უკანდახევას.

ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა მტრის სხვა დასაყრდენ პუნქტთან — სამაზრო ქალაქ რასეინიაისთან. ჩვენმა ქვეითმა ჯარმა ცეცხლითი ბრძოლა დაიწყო ქალაქის აღმოსავლეთ გარეუბანში, ტანკების თანხლებით დაარტყა სამხრეთით და დაიკავა სხვა დიდი დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგეს არაერთგზის მოჰქონდა კონტრიერიშები და თანდათან მეტი ძალები გამოჰყავდა. დღის დამლევს მტერმა ბრძოლაში გამოიყვანა ერთი პოლკი ქვეითი ჯარი და 40 ტანკი, მაგრამ მტრის ყველა კონტრიერიში ჩაიშალა, ჰიტლერელებმა დიდი ზარალი განიცადეს და უკან დაიხიეს. საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი რასეინიაი.

ფრონტის სხვა უბანზე, სადაც გერმანელები ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ უკუაგდონ ჩვენი ჯარები, რომლებიც ყველაზე უფრო ახლოს მივიდნენ სახელმწიფო საზღვართან, მოგერიებულია მტრის მთელი რიგი კონტრიერიშები. მოწინააღმდეგემ კონტრიერიშზე გადმოიყვანა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი, რომელსაც 25-35 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი ეხმარებოდა. ჩვენი მებრძოლებისა და ოფიცრების სიმტკიცემ მოწმობს ასეთი საგულისხმო ციფრი: ერთი დღის განმავლობაში მტერს აქ 48 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი დაუზიანეს და დაუწვეს.

მოიერიშე და ბომბდამშენი ავიაცია ხელს უწყობს შემტევ ნაწილებს და განუწყვეტლივ ურტყამს მტერს ჰაერიდან. ერთ-ერთ საზღვრისპირა სადგურზე საბჭოთა მფრინავებმა [illegible] ეშელონები სწვავიანად. სხვა საზღვრისპირა პატარა ქალაქის რაიონში ჩვენი მოიერიშეები თავს დაესხნენ გერმანელთა ტანკების შეკვეთებას და დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგს.

მ. გულკინი.
კ. პუხოვი.

ცოცხალი მოწმენი გვიამბობენ...

ლვოვი, 9 აგვისტო (საკდესი). ლვოვის განთავისუფლების შემდეგ, სამ წელიწადმი პირველად გამოვიდენენ ქუჩებში ქანცგამოლეული, განწამები ადამიანები. ესენი არიან ცოტანი იმ ბედნიერთა შორის, ვინც მოახერხა თავის დაღწევა სიკვდილის ბანაკებიდან, რომლებიც შექმნილი იყო ლვოვის ჩრდილოეთ ნაწილში. ჯათ ნახეს ათიათასობით დაპატიმრებულის დალუპვა, ისინი მნახველი იყვნენ ბრიუხოვიჩში, კლეპაროვსკაიაზე, პესკაზე მომხდარი მასობრივი სიკვდილის დასაჯისა. დღეს ესენი, ჰიტლერელთა ზეიცობის ცოცხალი მოწმენი, გვიამბობენ:

...1941 წლის ივლისში, როდესაც ტარნოპოლთან ჯერ კიდევ გაფთრებული ბრძოლები იყო, ლვოვს მოვიდა ზონდერკომანდა, რომელსაც მეთაურობდნენ სს-ელთა ოფიცრები გებაუერი, ტში და შტაინერი. აგვისტომი გამოცხადებულ იქნა პირველი ეგრეთწოდებული „აქცია“. კომენდანტის ბრძანებით შესაკრებ პუნქტზე უნდა გამოცხადებულიყვნენ 60 წლისაზე მეტი ხნის მოხუცები. შშობლებს ნაბრძანები ჰქონდათ მოეყვანათ ბავშვები 12 წლის ასაკამდე. მოხუცებიცა და ბავშვებიც დაუყოვნებლივ წაიყვანეს ლვოვიდან და მას შემდეგ ჯათი ბედის შესახებ არავინ არაფერი იცის.

ივნოვკის ტიურმის ბოლოს გერმანელებმა ეკლიანი მავთული შემოავლეს ათობით უბანს. აქ მოხვდნენ რკინიგზის კვანძისა და ტრამვაის პარკის მუშები, წითელარმიელთა ცოლები, მეცნიერები, მსაზიბრები, ექ

ქუთაისის წულუკიძის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში ამხ. ვ. ისაკაძე ატარებს კონსულტაციას პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის.

ფოტო რ. აკოფოვისა

პარტიული ცხოვრება

ორი კოლმეურნეობა და მათი პარტიული ორგანიზაციები

სოფელ ალის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა მოწინავეა ხაშურის რაიონში. კოლმეურნეობის 520 ჰექტარი მიწა შაქრის ჭარხალს, ხორბალს, სიმინდს, ქერს, შვრიას, კარტოფილს და ბოსტნეულ კულტურებს უჭირავს. 20 ჰექტარზე გაშენებულია ვენახი, კოლმეურნეობას აქვს მსხვილფეხა საქონლის, მეცხვარეობის, მეღორეობის, მეფუტკრეობისა და მეფრინველეობის ფერმები.

მეურნეობის ეს სიდიდე და მრავალფეროვნება სერიოზულ ამოცანებს აყენებს პირველადი პარტიული ორგანიზაციის წინაშე. პარტიული ორგანიზაცია კარგად გრძნობს ამას. იგი ღრმად სწვდება არტელის ეკონომიკის საკითხებს, კარგად იყენებს კოლმეურნეობის გამგეობის სამმანობისადმი კონტროლის უფლებას და ნაყოფიერად იბრძვის საშეურნეო წარმატებათა მოპოვებისათვის.

ცოტა ხნის წინად აქ არავის აწუხებდა, რომ 150-მდე კოლმეურნე ხშლოდ შემოხვევიდან შემოხვევამდე გამოდიოდა სამუშაოზე. „მუშახელი ჭარბად გვყავს და უიმათობა რას დაგვაკლებსო“,—ასე მსჯელობდა გამგეობის ზოგიერთი წევრი. ამიტომაც დღითი დღე უფრო ეცემოდა შრომის დისციპლინა. პარტორგანიზაციამ ამას ყურადღება მიაქცია. საკითხი შრომის დისციპლინის შესახებ დაისვა ღია პარტიულ კრებაზე. კრებამ დაჰგმო საკოლმეურნეო წარმოების თავისებურებელთადმი ასეთი არასწორი დამოკიდებულება და მოითხოვა შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინაალმდეგ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდებით გათვალისწინებული ზომების მიღება. არ გასულა დიდი ხანი, რომ მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა და ათობით მუშახელი შეემატა მინდვრად მომუშავეებს. შედეგად, კოლმეურნეობამ ხვნა ვადამდე დაამთავრა და 130 კოლმეურნით დაეხმარა მეზობელ სოფელ ბრილის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას, რომელიც ხვნაში ძლიერ ჩამორჩებოდა.

კოლმეურნეობაში ახლა წარმატებით ჩატარდა ნათესების დამუშავება. ალელებმა სიმინდის ყანები სამჯერ გათოხნეს, ხოლო ჭარხლის პლანტაცია ოთხჯერ გაფხვიერეს. გამარგლეს და ორჯის შეწამლეს აკრეთვე ვენახი.

ფართოდ არის გაშლილი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ველად. კომუნისტი აგიტატორები სამაგალითონი არიან მუშაობაში. ისინი ადგილზევე ასწორებენ შემჩნეულ ნაკლოვანებებს. აგიტატორის ჩარევის შედეგად გამოსწორებულ იქნა აგროწესების უხეში დარღვევა ამხ. ი. გელაშვილის ბრიგადაში—1,5 ჰექტარი ჭარხლის ნათესი ხელახლა გამოხშირეს და გათოხნეს.

ჯერ კიდევ ივნისში პარტიულმა კრებამ განიხილა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. დ. გვარამაძის მოხსენება თავთავანი კულტურების მოსავლის აღებისათვის ზზადყოფნის შესახებ. კრებაზე გამოირკვა, რომ ოთხ ბრიგადაში დამთავრებული არ იყო ურმებისა და ტრიერის რემონტი, მზად არ იყო პურის საწყობი, ბრიგადებს აკლდათ 80-მდე ტომარა. პარტიული კრების მიერ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიღებულ ღონისძიებათა შესრულებას ყოველდღე ამოწმებდა პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ვ. ნოზაძე. შედეგად ბრიგადები სრული მზადყოფნით შეხვდნენ მოსავლის აღებას, 1 აგვისტოსთვის პური ხელით აიღეს მთელს ფართობზე და ახლა ლეწვაზე მუშაობენ.

* * *

ხაშურიდან სულ ოთხიოდე კილომეტრის მანძილზეა სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობა „წინსვლა“. კოლმეურნეობასთან არსებობს პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 12 კომუნისტს აერთიანებს.

გვერდისუბანში კომუნისტები თვეში სამჯერ მაინც იკრიბებიან. იხილავენ მეტად საყურადღებო საკითხებს, გამოაქვთ დადგენილებები და ღონისძიებებსაც სახავენ. ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა, მაგრამ საკმაოა ცოტაოდენთ მიღებულ ღონისძიებებს, შეამოწმოთ მათი შესრულება, რომ ნათელი გახდეს, თუ რა ზომამზადებლად ტარდებოდა კრებები, რა ზოგადი და უშედეგო დადგენილებანი იყო მიღებული.

მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს. 17 იანვარს პარტიულმა კრებამ განიხილა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი და დაავალა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ი. კვერნაძეს „მიიღოს ყველა ზომა ბოსტნეულისა და კარტოფილის თესლის 1 თებერვლამდე შეძენისათვის“. 5 თებერვალს შემდგარმა პარტიულმა კრებამ კვლავ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობას თესლი არ შეუძენია. ამჯერად კრებამ თავმჯდომარეს ეს საქმე 15 თებერვლისთვის გადაუვადა.

— ჩვენი პარტიული ორგანიზაცია ბევრ ისე დიდია და კრებას, როდესაც მოგვინდება, იმ წუთს მოვიწვევთო,—გვიჩვენის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. ტარიელაშვილი.

ასე ერთ წუთში, სახელდახელოდ იწვევენ აქ პარტიულ კრებას და ასევე ნაჩქარევად თხზავენ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებისთვის შემდეგ არავინ ზრუნავს.

პარტიული ორგანიზაცია სუსტად მონაწილეობს კოლმეურნეობის საქმიანობაში. იგი ვერ იყენებს პარტიის წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებას კოლმეურნეობის საშეურნეო საქმიანობისადმი.

უკვე მესამე წელიწადია მიწგანი კოლმეურნეობას აძლევს ისეთ საწარმოო გეგმას, რომელიც ხელს უშლის თესლბრუნვის მოწყობას. ასეთი გეგმის წყალობით კოლმეურნეობა იძულებულია ყოველ წელს 25 ჰექტარზე ერთი და იგივე კულტურა—ხორბალი სთესოს, რაც დამღუპველად მოქმედებს ნოსავლიანობაზე. მაგალითად, წელს ამ ნაკვეთზე 12 ჰექტარი თივად აიღეს, ხოლო დანარჩენ 13 ჰექტარზე 60-მდე ცენტნერი მოსავალი მიიღეს, მაშინ როცა მოსავალი აქ ჰექტარზე 10 ცენტნერი მაინც უნდა იყოს.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია სულაც არ ზრუნავს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. პარტორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. შრომადღეების ეკონომიისათვის.

კოლმეურნეობაში სუსტია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. მოუფესრეგებელია გაზეთების მიღება. აგიტატორები ვხოლოდ დროდადრო ატარებენ საუბრებს. არ ეროვ კანდიდატს არა აქვს მიცემული პარტიული დავალება. კანდიდატებთან საერთოდ არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. ზოგიერთი კომუნისტი ჩამორჩება, ვერ ამართლებს კოლმეურნეობაში ავანგარდულ როლს.

უნდა ითქვას, რომ პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. ტარიელაშვილი მონდომებული ამხანაგია, ვაგრამ იგი პირველად არის ხელმძღვანელი პარტიულ სამუშაოზე და საკმაო გამოცდილება არა აქვს. ამხ. ტარიელაშვილი ყოველდღიურ დახმარებას საჭიროებს, მაგრამ იგი ჭას ვერ იღებს. საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ა. ქურდაძე არ ეხმარება პარტორგანიზაციის მდივანს კრების მომზადებაში და ღონისძიებების გამომუშავებაში, არ ასწავლის პარტიულ მუშაობას.

* * *

ეს ორი მაგალითი მოწმობს იმას, რომ ხაშურის რაიონში მოწინავეებთან ერთად, არიან ჩამორჩენილი პირველადი პარტორგანიზაციებიც, რომლებსაც რაიკომის მხრივ მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება ესაჭიროებათ.

ა. სოხაძე

ღენვა ჩამორჩა აღების ზემპებს

დუშეთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს მოსავლის აღება. მტს-ი კარგად ეხმარება კოლმეურნეობებს. კომბაინერი გ. ვეშაგური დღეში 10-12 ჰექტარზე იღებს მოსავალს, ნორმა კი 8 ჰექტარია. მოსავლის აღებაზე კარგად იმუშავეს სოფელ ინან-ჯიქურაულების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ფერძაული). 7 სამუშაო დღეში პურეული აიღეს 95 ჰექტარზე. აქედან ხელით 41 ჰექტარზე. კოლმეურნეობამ პურის ჩაბარების გეგმა შეასრულა.

უდანაკარგოდ იღებენ მოსავალს სოფელ ციხეგდავის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე კ. სალბიშვილი) და სოფელ ოძისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში (თავმჯდომარე ლ. კაშაური).

სოფელ ლამოვანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ 21 ცენტნერი ქერი მიიღეს.

სოფელ ციხისუბნის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ვ. პაპუკაშვილი მკის დღიურ ნორმას 250-300 პროცენტით ასრულებს. მან 6 სამუშაო დღეში 29 შრომადღე გამოიმუშავა.

ზოგან დანაკარგების აღსაკვეთად სუსტად მუშაობენ. ბაზალეთის, მჭადიჯვრის და ციხისუბნის კოლმეურნეობებში თავთავების აკრეფას ყურადღებას არ აქცევენ. მოსავლის ნაწილი იკარგება.

კოლმეურნეობებში ლეწვა ჩამორჩა მოსავლის აღების ტემპებს. სალეწ მანქანებს სრული დატვირთვით არ იყენებენ. ხშირად მანქანები ჩერდება სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო.

მარცვლეულის ლეწვა უნდა დაჩქარდეს.

ნ. ხეთაგური

გავუთანასწორდეთ მოწინავეებს

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). სსრ ვაკავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად ქვეშის, მერეთისა და ტყვიავის სასოფლო საბჭოებში შემავალმა კოლმეურნეობებმა შემჩნეულ ვადებში უდანაკარგოდ აიღეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი.

სოფელ ფხვენისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე რ. ანანიაშვილი) მოსავალს უდანაკარგოდ იღებენ. მცელავები ს. და ი. ცერაძეები, აგრეთვე ი. ცოცქოშვილი დღეში ორ ნორმას ასრულებენ. თავთავების აკრეფაზე აქ ყოველდღიურად მუშაობს 150 ქალი და მოზარდი.

კოლმეურნეობაში კარგად მუშაობს შინდისის მტს-ის კომბაინი (კომბაინერი მალახოვი), რომელმაც მოსავალი 110 ჰექტარზე აიღო. კოლმეურნეობამ შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის სავალდებულო ჩაბარების გეგმა.

მოსავლის აღებაში ჩამორჩენენ სოფელ ძევის, ჩარხისუბნის, ქეციხურის, ზემო ოსიმის, დიდი ბერშუეთის, ნადარბაზევის კოლმეურნეობები. ნადარბაზევის კოლმეურნეობაში თავთავების შესაგროვებლად ზომებს არ იღებენ.

სოფელ ნაწრეტში ახალოფლის მტს-ის კომბაინი საწვავის უქონლობის გამო ხშირად მოჰცდარია.

ამასწინად გორში ჩატარდა რაიონული თათბირი, რომელმაც განიხილა მოსავლის აღების მიმდინარეობის საკითხები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი.

თათბირმა დასახა დონისძიებანი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

შ. ჩუბინიძე

დეკეფეშები

მოკავშირეთა სალექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესა). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები შეეფდნენ ქალაქებში ნანტსა და ანეერში. ნანტში მტრის წინააღმდეგობა უმნიშვნელო იყო, მაგრამ მოწინააღმდეგემ ძლიერ დანალმა ორივე ქალაქის რაიონები. ბრიტანში მოკავშირეთა ჯარები სწმენდენ ენებონის, ორეს და კიბერონის რაიონებს, საპირეთ სანაპიროზე. ამერიკის ჯარები მთლიანად შეპოერტყნენ ლორიანს ხმელეთიდან. მტერი განაგრძობს ძლიერი წინააღმდეგობის გაწევას ბრესტში, სადაც იმყოფებიან გერმანიის სამი დივიზიის ნაწილები. ჩვენს ჯარებს ქალაქის ფარგლებს გარეთ შეუერთდნენ სხვა ძალები, რომლებიც ჩრდილოეთის სანაპირო გზით მოწევდნენ წინ. სენ-მალოს რაიონში მოწინააღმდეგე უმთავრესად იცავს მხოლოდ ერთს დასაყრდენ პუნქტს, სადაც შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. ნავსადგურში დღემდე ტყვედ წაყვანილია 3 ათასი კაცი. სენ-მალოს რაიონში გერმანელები კვლავ განაგრძობენ დნარის შეუპოვრად დაცვას.

გრძელდება მძიმე ბრძოლები ნორმანდიაში, მორტენ-ვიორის რაიონში. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევს მორტენის ჩრდილოეთით და სამხრეთით. ვირის რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა სამხრეთის მიმართულებით წინ წაიწიეს 1-1,5 მილით. მოკავშირეთა სხვა ნაწილებს იერიში მიაქვთ გატეგოს მიმართულებით და გერმანელთა ძლიერ წინააღმდეგობას ხვდებიან.

მოკავშირეთა ჯარებმა გააფართოეს ბიდწინა სიმაგრეები მდინარე ორნზე, წინ წაიწიეს დაახლოებით 3,5 კილომეტრით და დაიკავეს ესპენი.

მოკავშირეთა ავიაცია უშუალო დახმარებას უწევდა არმიებს და მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში თავს ესხმოდა ნომარაგების ცენტრებს, გზატკეცილებსა და რკინიგზებს მთელ სივრცეზე ბელგიიდან ბორდომდე.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ფრონტის ადრიატიკის სექტორში ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ზეგანი მდინარეებს მიზასა და ჩეზანოს შუა და დაიკავეს დასახლებული პუნქტები მონტერადო და კობინალდო. ამ რაიონში ახლა არის მტრის წინააღმდეგობის მხოლოდ მცირე კერები მდინარე ჩეზანოს სამხრეთით, ზუვის ნაპირიდან 20 კილომეტრზე. მოკავშირეთა ჯარებს მშვერვალი რაზმები უკვე გაეგზავნენ მდინარე ჩეზანოში. ფრონტის დანარჩენ უბნებზე არავითარი არსებითი ცვლილება არ მოხდარა.

მოკავშირეთა ავიაცია, რომლის ოპერაციებიც შეზღუდული იყო არახელსაყრელი ამინდის გამო, თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებს ჩრდილოეთ იტალიასა და იუგოსლავიაში.

მღელვარება გერმანელ მეზღვაურთა შორის სენებორგში

ლონდონი, 10 აგვისტო (საკდესი). რეიტერის საგანგებო გადმოგვცემს, რომ სენებორგში მყოფ გერმანელთა სამ პატარა სამხედრო ხომალდზე 20 ივლისს ღამით მღელვარება მოხდა. ნავსადგურში გამოძახებულ იქნენ ჯარები, რომლებმაც ჩაახშეს მეზღვაურთა ანტიპიტლერული გამოსვლა. დილით ეს ხომალდები ზღვაში გავიდნენ და მას შემდეგ ალარ დაბრუნებულან. მეორე დღეს სენებორგში ჩავიდა გერმანელთა საესკადრო ნაღმოსანი, რომლის კომანდის ნაწილიც აგრეთვე ადგილი ჰქონდა ანტიჰიტლერულ გამოსვლებს, რაც ჯარებმა ჩაახშეს.

იტალიის კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ერთობლივი კომუნიკე

ლონდონი, 9 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის საგანგებო რეფერატი იუწყება, იტალიის კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ შეიქმნა თანხმობის გაერთიანებული კომიტეტი მომავალი თანამშრომლობის მიზნით და მიღწეულია შეთანხმება საერთო პროგრამა-მინიმუმის შესახებ.

ორივე პარტია ცალკე ორგანიზაციებს შეინარჩუნებს.

თავდასხმა ბერლინზე

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, გუშინ ღამით, „მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ბერლინს და 1,8 ტონა წონის ბომბები ჩაუყარეს.

10 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში „ლანკასტერის“ მარკის თვითმფრინავები, რომლებიც ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში შედიან, ოპერაციებს ეწეოდნენ თვითმფრინავ-ყუმბარების ბაზების წინააღმდეგ ჩრდილოეთ საფრანგეთში.

ამერიკის ავიაციის თავდასხმა შანხაიზე

ჩუნცინი, 10 აგვისტო (საკდესი). როგორც სენტრალ ნიუსის საგანგებო გადმოგვცემს, 8 აგვისტოს ამერიკის „ლიბერეიტორის“ მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ შანხაის. დაბომბილ იქნა დოკები.

ამერიკის ზემძღავრი „მფრინავი სიმაგრეები“ თავს დაესხნენ კიუსიუს და სუმატრის კუნძულებს

ვაშინგტონი, 11 აგვისტო (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო სამინისტრო იუწყება, რომ 10 აგვისტოს ზემძლავრი „მფრინავი სიმაგრეები“, რომლებიც ამერიკის ავიაციის მე-20 შენაერთის შემადგენლობაში შედიან და რომელთაც ბაზები ჩინეთში აქვთ, თავს დაესხნენ სამრეწველო ობიექტებს ნაგასაკის რაიონში (კიუსიუს კუნძული).

ამერიკის ავიაციის სხვა შენაერთებმა დაბომბეს ობიექტები პალემბანგის მიდამოებში (სუმატრის კუნძული). სუმატრის კუნძულზე თავდასხმა მოხდა იმ ბაზიდან, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მეომარ მოკავშირეთა ჯარების სარდლობას ექვემდებარება.

რუზველტის მოგზაურობა ჰავაის კუნძულებზე

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგანგები ჰონოლულუდან (ჰავაის კუნძულები) იუწყება, რომ პრეზიდენტმა რუზველტმა 29 ივლისს დაამთავრა სამხედრო თათბირები, რაც სამ დღეს გრძელდებოდა, და საინსპექციო მოგზაურობა ჰონოლულუს რაიონში. რუზველტმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ თათბირები მიძღვნილი იყო იაპონელთა წინააღმდეგ ახალი შეტევითი ოპერაციების გეგმების განხილვისადმი.

ამერიკის მუშათა პარტიამ რუზველტი თავის კანდიდატად წამოაყენა პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო (საკდესი). ამერიკის მუშათა პარტიის ყრილობამ, რომელსაც გავლენა აქვს ნიუ-იორკის შტატში, ამერიკის შეერთებული შტატების მომავალ არჩევნებში პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა რუზველტი და ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატად—ტრუმენი.

კოლექტივიზაციის ისტორია

„საბჭოთა კავშირის კოლექტივიზაციის ისტორია“ განზრახულია გამოიცეს 5 ტომად. საბჭოთა საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორიის დაწერა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის გეგმით არის გათვალისწინებული. ინსტიტუტი მონაწილეობს ამასთანავე „საბჭოთა კავშირის კოლექტივიზაციის ისტორიის“ შედგენაში. ეკონომიკის ინსტიტუტის (დირექტორი ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი პ. გუგუშვილი) მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად ამ სამუშაოთა შესრულებაში ჩაბმული არიან სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერები და საკოლმეურნეო მშენებლობის ცნობილი პრაქტიკოს-სპეციალისტები. დაწერა დიდძალი ლიტერატურული, საარქივო, კანონმდებლობითი, მემუარული და სხვა მასალის გამოვლინება-შესწავლისა, ერთ-ერთ საუცლებელ სამუშაოს წარმოადგენს რესპუბლიკის მოწინავე და ტიპურ კოლმეურნეობათა მონოგრაფიული შესწავლა. ამ მიზნით ეკონომიკის ინსტიტუტი აწყობს სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ექსპედიციებში მონაწილეობენ გამოჩენილი მეცნიერები: აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ი. ლომოური, პროფესორები ა. ვაჩნაძეები, ბ. გუგუშვილი, ს. ბერაძე, მეცნიერებათა კანდიდატები: დოცენტები ნ. იაშვილი, ლ. კარბელაშვილი, ი. ჯაში, ა. კაკაბაძე, ვ. ჩახტაძე, ლ. ასათიანი, ვ. აბაევი, ა. იოსელიანი, გ. ივანიდისი, ნ. ჯაკობია და სხვ.

დამთავრდა საქაქშირო შეჯიბრება კალათბურთში

დამთავრდა სსრ კავშირის შირველობის ჩატარება კალათბურთში, რომელიც ნიმდინარეობდა ქალაქ თბილისში კიროვის სახელობის პარკის სასპორტო მოედანზე 2-დან 8 აგვისტომდე. ჩემპიონის სახელწოდების მოსაპოვებლად ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენი ქვეყნის ვაჟთა 16 და ქალთა 8 უძლიერესი გუნდი. საქართველოდან გათამაშებაში მონაწილეობდა ვაჟთა სამი და ქალთა ერთი გუნდი.

ვაჟთა გუნდებს შორის სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა წითელი არმიის თბილისის სახლის გუნდმა, რომელსაც არც ერთი დამარცხება არ განუცდია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამარჯვებები პირველობის ერთ-ერთ უახლოეს პრეტენდენტ მოსკოვის „დინამოსთან“ (34 : 26) და მოსკოვის „ლოკომოტივთან“ (40 : 28). თბილისის გუნდის შემადგენლობაში შედიან: ძეკონსკი (კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი), ფილიპოვი, სარქისოვი, ოგანეზოვი (სამივე სპორტის ოსტატები) და ჯორჯაია.

ქალთა გუნდებს შორის სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა მოსკოვის „დინამომ“, რომელსაც ავრეთვე არ განუცდია არც ერთი დამარცხება. გუდს მეთაურობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ბელონოვა.

ვაჟთა გუნდებს შორის მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის „დინამომ“, მესამე — მოსკოვის „ლოკომოტივმა“, ხოლო მეოთხე — ქუთაისის „დინამომ“. თბილისის „დინამომ“ დაიკავა მეექვსე ადგილი. ესტონეთის „სპარტაკი“ და კლუბი „კალევა“ გამოვიდნენ მერვე და მეცხრე ადგილებზე.

ქალთა გუნდებს შორის მეორე ადგილი აიღო მოსკოვის „ლოკომოტივმა“, მესამე — მოსკოვის „სპარტაკმა“, ხოლო მეოთხე — სვერდლოვსკის „ტრაქტორმა“.

8 აგვისტოს კიროვის სახელობის პარკის ცენტრალურ მოედანზე უკანასკნელი შეხვედრების შემდეგ სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდებს გადასცა პრიზები და საპატიო სიგელები.

ა. გოგოლაშვილი

ჩვენ გვწერენ

ვინ აფერხებს ტყეშელაშვილის სამუშაოს ორგანიზაციას

სევერიან ტყეშელაშვილი თბილისის მოლოტოვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში მუშაობდა 1941 წლამდე, ხოლო ამავე წლის ივლისიდან სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მტერთან ბრძოლაში იგი დაიჭრა და სამამულო ომის ინვალიდი გახდა.

ტყეშელაშვილი დაბრუნდა თბილისში და ისევ თავის ძველ კოლექტივთან მოისურვა მუშაობა, რისთვისაც მიმდინარე წლის თებერვალში განცხადებით მიმართა თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს უფროსს ვ. ჩაჩუას, ამ უკანასკნელმა მაისში გადაგზავნა ტყეშელაშვილი მოლოტოვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში სამუშაოდ. ბაზრის დირექტორმა კარანაძემ ტყეშელაშვილი რამდენიმე დღეს დაპირებებით შეიყოლია, ბოლოს უარი უთხრა — შეპოვის ადგილი არა მაქვსო.

ტყეშელაშვილის სამუშაოზე გაგზავნას არ დაადგა საშველი, თუმცა მისი დანიშვნის შესახებ ჩაჩუამ და მისმა მოადგილემ სულაბერიძემ მრავალი ბრძანება დასწერეს.

საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოში ახლა გაიძახიან — ადგილი არ გვქონდა თავისუფალი და ამიტომ გაგვიჭიანურდა ტყეშელაშვილის სამუშაოზე გაგზავნა. შემოწმებით კი გამოირკვა, რომ მარტო კიროვის და სტალინის რაიონების ორ საკოლმეურნეო ბაზარში თებერვლიდან დღემდე ათზე მეტი ადგილი განთავისუფლდა და ამ ადგილებზე მოაწყეს ნიშნიანიძე, დედუკოვი, ქარსელაძე, ლეონტიევი და სხვები.

ბოლოს საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოში ტყეშელაშვილს აცნობინეს, რომ... ვერ მიგიღებთ სამუშაოდ მანამდე, სანამ... საინტერესოა, მანამდე ხომ არა, სანამ სამუშაოზე გაგზავნისათვის ტყეშელაშვილი ფინმეს „პატიჟს არა სცემს“.

ე. ხენგავა

გაზეთები იკარგება

კავშირგაბმულობის ზოგიერთი მუშაკის უზენარო მუშაობის შედეგად ჟურნალ-გაზეთები ზნირად მკითხველამდე ვერ აღწევს.

გამოწერილი მაქვს გაზეთები „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „ვოენნოე ობუზენიე“ და „ისტორიჩესკი ჟურნალი“, მაგრამ არც ერთი ამათგანი რეგულარულად არ მომდის. მიმდინარე წლის იანვრიდან ივნისამდე მხოლოდ 10 ცალი „კომუნისტი“ მივიღე. დახმარებისათვის მივმართე კავშირგაბმულობის გულრიფშის (აფხაზეთი) რაიონულ კანტორას, მაგრამ მდგომარეობა დღემდე არ ყამოსწორებულა.

როდემდის გაგრძელდება ასე?

ბ. ჯიქია

ქაცხის სეფეზე ასვლა

ამ დღეებში ჭიათურის რაიონიდან დაბრუნდა საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტისა და ალპინისტთა კლუბის მიერ ეგრეთწოდებული ქაცხის სეტის გამოსაკვლევად მოწყობილი ექსპედიცია.

ქაცხის სეტი სოფელ ქაცხის მახლობლად ალმართული ებსოლუტურად ციცაბო სოკოსმაგვარი კლდეა. მისი სიმაღლე უახლოესი მისაწვდომი ბაქნიდან უდრის 40 მეტრს, ზოგიერთ ადგილს კი 100 მეტრამდე აღწევს. კლდის მწვერვალზე მოსჩანს ნაგები ნანგრევები. ქაცხის სეტი საუკუნეების განმავლობაში ასასვლელად მოუდგომელ „წმიდა ადგილად“ ითვლებოდა. ქაცხის სეტს იხსენიებს XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფი ვახუშტიც, რომელიც მას მიუთვალს უწოდებს.

სეტზე ასვლა, რაც წელს მოხდა, პირველია მრავალი საუკუნის განმავლობაში. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ალპინისტი და მწერალი ლ. პ. გოთუა. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ ალპინიზმის დამსახურებული ოსტატი ა. ბ. ჯაფარიძე, მოხალისე ალპინისტები მწერალი ა. ი. ბელიაშვილი და არქიტექტორი ვ. ცინცაძე.

საქმეს ხელს კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ლ. პ. გოთუამ განაცხადა:

— სამი დღის მოსამზადებელი პოშაობის შემდეგ ჩვენმა ჯგუფმა გამოიყენა უმაღლესი ალპინისტური ტექნიკა და პირველად შესძლო ასვლა სეტის მწვერვალზე, რომელიც პიუვალად ითვლებოდა. ჯგუფმა აქ ღამე გაათია და მწვერვალი დეტალურად გამოიკვლია. ნანგრევები, კლდის მწვერვალზე რომ მოსჩანდა, ორი ეკლესიის ნაშთები აღმოჩნდა. ერთი ეკლესიის ქვეშ აღმოჩენილია სადგომი, რომელიც, როგორც სჩანს, აკლდამად ყოფილა გამოყენებული. აკლდამაში აღმოჩენილია ადამიანის დაკმარხვი ჩონჩხი.

ექსპედიციის მიერ ჩატარებული წინასწარი გათხრის შედეგად აღმოჩენილია ერთგვარი კერამიკული ნაწარმი—სურების, თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, კრამიტი, ერთი საგანი, რომელიც ბრინჯაოს შანდალს ან ჯვრის საყრდენს წარმოადგენს. სეტის პატარა, 16 მეტრის სიგრძისა და 9 მეტრის სიგანის მოედანზე აღმოჩენილია ავრეთვე მიწაში ჩაფლული დიდ ქვევრებიანი მარანი.

აღმოჩენილი მასალების, საეკლესიო შენობათა არქიტექტურის, აგრეთვე ბოლნისის ტიპის ჯვრის მიხედვით, რომელიც ეკლესიის ქვემოთ კლდეშია ამოკვეთილი, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ეკლესიები აშენებულია არა უგვიანეს ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნისა. ხალხური გადმოცემა მათ სვიმონ მესვეტს სახელს უკავშირებს.

ასლისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს ადგილობრივმა კოლმეურნეებმა, რომლებმაც ექსპედიციას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს.

ჯგუფის მიერ შეგროვებული დაწერილებითი მასალა გადაეცა საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტს. (საქმესი).

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის

1945 წლის ოქტომბერში 100 წელი სრულდება დიდი ქართველი პოეტის, მგზნებარე პატრიოტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების დღიდან.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მოსამზადებელ ღონისძიებათა ჩამტარებელი კომისიის შემადგენლობა. კომისიაში შედიან: გ. ჯიბლაძე (თავმჯდომარე), გ. ქიქოძე, ლ. ასათიანი, გ. ლეონიძე, პ. ინგოროყვა, შ. რადიანი, აკადემიკოსი ქ. ქეკელიძე, ა. გაწერელია, ქ. ჭიჭინაძე, ი. გრიშაშვილი (დღიანი), გ. ნატროშვილი და დ. ბენაშვილი

დიდი პოეტის გარდაცვალების 100 წლისთავი ფართოდ იქნება აღნიშნული საბჭოთა საზოგადოებრიობის მიერ.

აფხაზეთის თეატრი ნულუკიძეში

ფულუკიძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქ. ფულუკიძეში ჩამოვიდა აფხაზეთის სახელმწიფო ქართული თეატრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ს. ჭელიძის ხელმძღვანელობით. თეატრს რეპერტუარში აქვს მ. ჯაფარიძის „ეამთამაბერის ასული“, შ. დადიანის „გეგეჭკორი“, ვსევოლოგსკის „როდესაც ფული იწყებს ბრძოლას“, ვ. გუნიას „დაძმა“ და ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალან“.

სპექტაკლებში მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლ. ჭედია და მ. გაგნიძე, მსახიობები ირ. დონდუერი, ვ. ჩუბინიძე, ტ. ხორავა, აკ. ბოკუჩავა და სხვ. სპექტაკლების მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ნ. ყაზბეგს, მუსიკა — შ. გორგაძეს.